სახალხო გაზეთი

№ 869 ხუთშაბათი, 11 აპრილი 1913 წ. № 869

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. **ცალკე № ყველგან** 5 კ.
„ „ **თვეში** — 75 კაპ. **დამატებიანი** 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღევანდელ ნომერს დამატებად მისდევს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლის განაწილება.
1152.

შაბათს, 13 აპრილს დილის 11 საათზე ლანჩხუთის წმინდა გიორგის ეკლესიაში სტუდენტ

იუსტინე |დომენტი| **ურუშაძის**

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები—**ნიკოლოზ გრიგორის ძე და თეოდოსია ურუშაძეები** შვილებითურთ **კირილე, სამსონ, სერგეი და გიორგით.** 219.

ქართული თეატრი

სამშაბ., 23 აპრილს, დილით, ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებ. ლექტორი ბ-ნი **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს საჯარო **ლექციას** ქართულად თემაზე:

„შოთა რუსთაველის ცხოვრების დრო“

(ორ ნაწილად). ლექციის შემდეგ შესდგება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ (გვარები ანბანზე) ბ-ნნი იუსტინე აბულაძე, სერგეი გორგაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯანაშვილი. თავმჯდომარედ იქნება ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე. შემოსავალი გადადებულია „ვეფხის-ტყაოსნის“ ახალ ტექსტის გამოსაცემად. **დასაწყ. დილის** 11 ს. ბილეთები იყიდება. 218

ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ორშაბათს, 15 აპრილს,

სამშობლო

ისტ. დრ. 5 მოქმ. და 7 სურ. დ. ერისთავისა.
რეჟისორი **ვ. გუნია.**

ხუთშაბათს, 18 აპრილს, ვასო აბაშიძის მონაწილეობით

ლალატი

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა. თარგ. გრ. ყიფშიძისა.
რეჟისორი **ვ. გუნია.**

კვირას, 21 აპრილს,

უკანასკნელი წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ტრაღიკოსის **სოფოკლეს** ორი ცნობილი ანტიური ტრაღედია ერთ საღამოს·

I

ედიპე მეფე

თარგ. კონ. ანდრონისა.

II

ანტიგონე

თარგმ. გ. გვაზავასი.

ედიპე მეფე—**ვ. გუნია.** ანტიგონე **ნ. დავითაშვილი.** ანტიგონეში **მეფე კრეონის** როლს შეასრულებს **ვ. გუნია.** რეჟისორი **კონ. ანდრონიკაშვილი.** ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობს მსახიობთა ამხანაგობის მთელი დასი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1094

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ **წამს,** გარეშე **მოსიარულე** ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ი. ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღლაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი · გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგ ლ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშობიო სნეულებანი.	**ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ., ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 9 მ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფა სურით. წ. 1035

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“

ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

დაკვეთა შეიძლება: **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **ქობულეთში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

კერანგები
საყელოები
ყელსაბამები
ზაპონკები
ხელთათმანები
ჩულქები
ცხვირსახოცები
წვივსაკრავები
ჯოხები
ქოლგები
პომოჩი

პალტოები
კოსტიუმები
ტუჟურკები
ჟილეტები
ქუდები

კასკეტები
ამერიკული
ფეხსაცმელი
საშინაო და
ვაგონებისათვის
ტუფლები
პალტოები
მტვერ მიუკარები
ჩემოდნები
ზანდუკები
პლედები.

ამხ.-ბა

ალშვანგი

სასახლის ქუჩა

ტელეფ. № 4—77.

1112

12 აპრილს, 1913 წ., საღამოს 7 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

წლიური კრების გაგრძელება მოხდება.

განსახილველია: 1) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 2) საზოგადოების საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 3) საზოგადოების ახალ წევრთა მიღება. 1128

ამერიკულ ვაზის სანერგეები

„გიორგის შრომა“

დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასდადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:

Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву. 1142

ბედნიერ დღეებისათვის

ახლად მივიღე საუკეთესო

კახური ღვინოები

ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასებში **ვედრო**—2 მ. 40 კ-დან—8 მანათამდე, **ბოთლი** 15 კ-დან—60 კ-დე.

ეგზარხოსის მოედნის მახლობლად, ბაგრატიონის ქუჩაზე, სახლი კოწეწოვისა № 10.

1151. პატივისცემით **ს. ი. კურდღელაშვილი.**

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია,** ბიბუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

არსდება

ტფილის. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობ. გუნდი

მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობით.

მიღება და ჩაწერვა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, საღ. 5—7 საათამდე. 1129

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი ოოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. 10 53

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და [illegible] (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathien. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ.** ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, **საფოსტო** განყოფ. პირდაპირ. 102

ბუფეტი „სატივო“

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

აზიური საჭმელები

ახალის სანოვაგისა

ვიკავებთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის.

ფასები ძლიერ ზომიერია. 1114

დავიწყებული გზა

ეჭვს გარეშეა, რომ სომეხთა დიდი ეროვნული პარტია, რომელიც წინად სარევოლიუციო ბრძოლასაც კი აწარმოებდა, დღეს დიდ ცვლილებას განიცდის. ეს პროცესსი კარგა ხანია დაიწყო. უკვე მაშინ, როცა რუსის მთავრობამ სომხებს დაუბრუნა საეკლესიო მამულები და შესწყვიტა ბრძოლა სომეხთა სასკოლო-საეკლესიო თვითმართველობის წინააღმდეგ, ხსენებული პარტიის ცხოვრებაში კრიზისი დაიწყო. დიდი უმრავლესობა პარტიის ხელმძღვანელთა აღარ სთვლიდა საჭიროდ აქტიურს შეურიგებელს ბრძოლას.

ეს მოვლენა თავისთავად ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთ, თუ გავიხსენებთ, რა იყო უახლოესი საბაბი და მიზეზიც პარტიის რუსეთში ამოძრავებისა. დაშნაკციუტუნი გაჩნდა და მებრძოლ ძალად გადაიქცა ოსმალეთის პოლიტიკურ პირობებში. მისი მიზანი იყო და არის დღესაც ოსმალოს სომეხთა განთავისუფლება. ხოლო როცა რუსეთის სომხებსაც გაუჩნდათ განსაცდელი, პარტიამ თავისი მოქმედება რუსეთშიაც გადმოიტანა და დარაზმა ხალხი წმინდა პრაქტიკულ საქმისთვის: წართმეული უფლებათა დაბრუნება, დაბრუნება საეკლესიო მამულებისა და აღდგენა სასკოლო-საეკლესიო ავტონომიისა—აი, რა იყო პირვანდელი პროგრამა პარტიის მოქმედებისა. შემდეგში, მე-1900 წლების დასაწყისში, როცა რუსეთში სარევოლიუციო ბრძოლა საკმარისად განვითარდა, რუსეთის დაშნაკციუტუნიც დაემორჩილა ამ გავლენას და გააფართოვა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური პროგრამა. ახლა ის აღარ კმაყოფილდებოდა საეკლესიო-სასკოლო ავტონომიით და სომეხთა პოლიტიკურ თვითმართველობის მოსარჩლედ გამოვიდა, მის ეკონომიურს პროგრამაში კი სოციალისტური ჰანგებიც გაისმა. მაგრამ, როგორცა ვთქვით, ეს ევოლიუცია პარტიის ცხოვრებაში ხანმოკლე გამოდგა. როცა სომხებს საეკლესიო მამულები დაუბრუნდა, როცა მათი კულტურული თვითმართველობა, ცოტად თუ ბევრად, განთავისუფლდა დევნისაგან, ესე იგი სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა პარტიის რუსეთში ამოძრავების თავი და თავი საგანი აღსრულებულ აქმნა, დაშნაკციუტუნის უმრავლესობა მარჯვნით გადაიხარა და ესეთი გადახრა მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო და უფრო იმარჯვებდა რუსეთის რეაქცია. მართალია, ამ უმრავლესობას გამოეყო მაშინ უმცირესობა, რომელიც, პირიქით, მარცხნით გადიხარა, მაგრამ ამ უმცირესობის მნიშვნელობა ერთობ მცირე იყო და თითქმის სრულიადაც მიილია უკანასკნელ დიდ პროცესსის შემდეგ. ეხლა, ამ ჟამად, დაშნაკციუტუნი, როგორც სარევოლიუციო პარტია, ისევ ოსმალეთში იჩენს თავს, ხოლო რუსეთში ხსენებულ უმრავლესობის მიმართულება დარჩა გაბატონებული, რომელიც ძალიან და ძალიან შორს არის ზემოთ აღნიშნულ [illegible] პროგრამის დაშნაკციუტუნისგან, იმ დაშნაკციუტუნისაგან, რომელიც პოლიტიკურ თვითმართველობის საჭიროებას აღიარებდა თავის მოქმედების საგნად.

ჩვენ არავის არ ვაქებთ და არ ვაძაგებთ: შეიძლება, წინანდელი უკიდურესობა და ახლანდელი ზომიერება რუსეთის დროშაკისტებისა თანაბრად კანონიერი და სომხების ცხოვრების პირობებთან შეთანხმებული მოვლენა იყოს, სასარგებლო და ხელსაყრელი მათთვის; ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ფაქტები და სრულებითაც არ შევუდგებით იმათ დაწვრილებით განხილვასა და იმათ დაფასებას, რადგან ჩვენთვის ეს მოვლენა იმდენად არის მხოლოდ საყურადღებო, რამდენადაც შეეხება ჩვენსა და მათ შორის ურთიერთობას. ამ მხრით კი ჩვენ მიერ აღნიშნული ევოლიუცია სომეხთა დიდ ეროვნულ პარტიაში დიდად საგულისხმიეროა.

წინად, იმ მოკლე ხანაში, როცა დაშნაკციუტუნი ავტონომია-ფედერაციას იზიარებდა, იქ სადაც თავისი თვითმართველობა სწამდა, ჩვენსასაც პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდა. საქართველოს ავტონომია მაშინ იმათ იდეურ ხელმძღვანელთ სრულიად კანონიერ მოვლენად მიაჩნდათ და მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, რომ საქართველოს სომეხთა ინტერესები-უფლებანი, როგორც ეროვნულ უმცირესობისა, ყოფილიყვნენ დაცულნი. ამ მხრით მათ სრული დაკმაყოფილება მიიღეს. ქართველთა იმ მომქმედ ჯგუფმა, რომელმაც თავის პროგრამაში ავტონომია შეიტანა, ყოველი ღონე იღონა ნათლად ჩამოეყალიბებინა უმცირესობის უფლებათა დაცვის გარანტიები. ყოველივე, რაც კი არის ამ მხრით შემუშავებული დემოკრატიულ აზროვნებასა და პრაქტიკაში, შეტანილ იქმნა ქართველ ავტონომისტთა პროგრამაში: საზღვრები სათვითმართველობო ერთეულისა განზრახულია არა ისტორიულის პრინციპის მიხედვით, არამედ რეალურ დასახლების პრინციპისა, რის გამო ქართველთ უნდა დათმონ ზოგი მათი განაპირა პროვინციები, ოდესღაც ქართველთა კუთვნილება და დღეს სომხების მიერ დასახლებული; დაცულია სრული უფლება და ფართო ფარგალი უმცირესობის ეროვნულ-კულტურულ ავტონომიისა; პროპორციონალურის არჩევნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფილია ამ უმცირესობის პოლიტიკური უფლებანი და სხვა და სხვა. ასეთ გარანტიებს მაშინდელი ხელმძღვანელნი დროშაკისტებისა საკმარისად სცნობდნენ თავის მოძმეთა უფლების დასაცველად და, როგორცა ვთქვით, კანონიერად აღიარებდნენ ქართველთა ეროვნულ ლტოლვილებას. ამიტომაც ორ ჯგუფთა შორის, უკედ ვთქვათ, მათ იდეიურ განწყობილებების გამომხატველთა შორის საკმაო იდეიური თანხმობა არსებობდა...

ეხლა სურათი სრულებით შეიცვალა. ახლანდელ დროშაკისტებს არა-თუ არა სწამთ ქართველთა მთავარი ეროვნული ლტოლვილება, უბრალო ეროვნულ თავდაცვის ბრძოლასაც-კი აბუჩად იგდებენ. ჩვენი ავტონომიის გაგონებაზე ისინი ისტერიკაში ვარდებიან და იწყებენ ყოვლად უაზრო და უადგილო სიტყვების წამოსროლას: შოვინისტები, ნაციონალისტები, შავრაზმელები და სხვა.

საკვირველი ისაა, რომოს მალთა დაშნაკციუტუნის პოლიტიკური პროგრამა ავტონომიაზეა დაფუძნებული, ხოლო მათი კავკასიელი თანამოაზრენი ავტონომიას სახავენ რეაქციონურ მოვლენად და ამ რიგად, თუმცა არა პირდაპირ, „სჭრიან იმ ხეს, რომელზედაც თვით სხედან"... რომ მათ სრულებით შესცვალეს ჩვენთან დამოკიდებულება, თუმცა ჩვენ არაფერი შეგვიცვლია იმ დროიდან ჩვენს განზრახვებსა და ლტოლვილებაში, ეს ბევრის ფაქტით შეგვიძლიან დავამტკიცოთ, მაგრამ საკმარისი იქნება მხოლოდ ერთი გავიხსენოთ. ვგულისხმობთ უკანასკნელ პოლიტიკურ არჩევნებს, სადაც ისინი ჩვენს მტრებად გამოვიდნენ. არ გამოვუდგებით იმის განხილვას, რამდენად ბუნებრივი იყო მათი შეთანხმება ჩვენ დასელებთან: ისედაც ცხადია, რომ ისინი ერთმანეთს შეაერთა ავტონომიის უარისყოფამ, რასაც სრულებითაც არ ჰმალავდნენ. ამრიგად, მიმართულება, რომლის პროგრამაში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტას მთავარი ადგილი უჭირავს, შეუერთდა ისეთ ჯგუფს, რომლისთვისაც ამ საკითხს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და უკუაგდო თავისი წინანდელი გზა, დაივიწყა ისიც, რომ წინად ქართველთა მეორე დემოკრატიულ ჯგუფთან ერთად იდეიურად ებრძოდა სწორედ იმავ დასელებს.

ჩვენ ეს ცვლილება, ეს ახალი განწყობილება ფრიად მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია, რომელსაც დიდი გავლენა ექნება ქართველთა და სომხეთა მომავალ ურთიერთობის საქმეში. არავის სამტროდ ჩვენს ერს არა-ფერი არ განუზრახავს. როგორც ძველად ისტორიაში, ისე ეხლა, ის მოწადინებულია ყველა თავის მეზობელთან კეთილი განწყობილება დაიცვას. თუ ერის ლტოლვილება ოდესმე განხორციელდა, და თვით ქართველთაგან იქნება დამოკიდებული ესა თუ ის განწყობილება დაამყაროს სომხებთან, ჩვენი ერი და მისი დემოკრატიული სულისკვეთების გამომხატველნი ყოველგვარ ღონეს იღონებენ, რათა უზრუნველჰყონ სომხეთა ეროვნულ უმცირესობის უფლებანი. გარდა ამისა, არც სომხები არიან ისე სუსტნი, რომ თავი ვისმეს დააჩაგვრინონ და თავისი უფლებანი ვერ დაიცვან...

ყველა ამ პირობებში გაუგებარია ის არა სერიოზული, ის აბუჩად ამგდები კილო, რომლით ახლანდელი დროშაკისტები ეკიდებიან ჩვენს ეროვნულს საქმეს. არავის დახმარებას არა ვთხოვთ, მაგრამ იმის მოთხოვნის უფლება კი გვაქვს, რომ ხელს ნუ გვიშლიან და დარბაისლურად მოექცნენ ჩვენს დიდ საქმეს. რა საკადრისია ყოვლად უაზრო ფრაზების წამდაუწუმ წამოსროლა ჩვენს შოვინისტობაზე? დროა გაიგონ, რომ ერის ცხოვრების სიღრმეში აღზრდილ დიად მოვლენასთან აქვთ საქმე, რომლისაც სერიოზული ანგარიში გაწევა სჭიროა, თორემ შესაძლებელია მეტის მეტად აიწეწოს ორ ერთა ურთიერთობის საკითხი, შეიძლება მეტად გაღრმავდეს უფსკრული, რაც, ვფიქრობთ, არ არის სასურველი არც მათთვის არც ჩვენთვის. ჩვენი სურვილია გავახსენოთ ყველა ეს სომხეთა ერის იდეურ ხელმძღვანელთ საზოგადოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში ორ ერთა ურთიერთობის საქმის ნორმალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება იმისგან, თუ რამდენად შევიძლებთ ურთიერთ ეროვნულ მისწრაფებათა გაგებასა და აღიარებას.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ილიას ძეგლის კურთხევა** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 5 მაისისთვის დანიშნა.

✦ **ილიას ძეგლის** ხარჯების დასაფარავად წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობისაგან 100 მან. მიიღო.

✦ **საბირჟო ცნობები.** 10 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგა- [illegible] სებენ—85 მან. 65 კ., აძლევენ—85 მან. 45 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კ. აძლევენ—82 მან. 60 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., აძლევენ—78 მან. 25 კ.

✦ **ნება დართეს** ტ. ართმელაძეს, ქვიანში (გურია) სამეურნეო სავარჯიშო კურსები გახსნას.

✦ **სახალხო გასართობთა საზოგადოებამ** წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობას სთხოვა, დაუთმოს თავისი (სამუზეუმო) ადგილი „ფიქრის გორაზე" სახალხო სეირნობათა გასამართავად.

✦ მკითხველთ თავის დროზე ვაცნობეთ, რომ ქართველმა ქალებმა, კავკასიის ქალთა საზოგადოებას სთხოვეს, მიეღოთ ისინი საზოგადოებაში, როგორც ერთი მთლიანი ავტონომიური ერთეული. ამ საკითხის გადასაწყვეტად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შევიდა შვიდ-შვიდი წევრი ორივ მხრიდან. კომისიამ ქართველ ქალთა თხოვნა შეიწყნარა. ქართველი ქალები ამის შემდეგ საზოგადოებაში შეადგენენ ავტონომიურ სექციას, რომელსაც თავისი გამგეობა ეყოლება და საკუთარი კასა ექნება.

✦ **ტფილისის ტრამვაი.** როგორც იციან მკითხველებმა, ამ ჟამად განზრახულია ტრამვაის გამოსყიდვა ბელგიელებისაგან. ამის გამო ქალაქის გამგეობის წევრს ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს მინდობილი ჰქონდა ვრცელ და დასაბუთებულ მოხსენების შედგენა. თავ. არღუთინსკის ეს დავალება შეუსრულებია დაიბეჭდა და გამოვიდა წიგნი, რომელიც შეიცავს 300 გვერდზედ მეტს. წიგნში ბევრი საინტერესო მასალაა შეგროვილი და შემუშავებული: ტრამვაის გამოსყიდვის პირობები, ბელგიელთა საზოგადოების ანგარიშები, წმინდა შემოსავლის შესახებ, ტრამვაის ექსპლოატაცია და შემოსავალი რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და დასავლეთ ევროპაში: ტფილისის ტრამვაის სრული და წმინდა შემოსავალი, ინვენტარი და სხვა.

✦ ჭიათურის შავი ქვის საბჭომ განსვენებულ **არჩილ ჯორჯაძის** ძეგლის ასაგებ თანხისთვის გადასდო 200 მან.

✦ სახაზინო პალატამ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ მანიფესტის ძალით ეპატიებათ მცხოვრებთ უძრავ მამულებზე დარჩენილ სახელმწიფო გადასახადის ნახევარი (21 თებერვლამდე) და მთელი ჯარიმა, რომელიც მოგროვილია 1912 წლის 1 იანვრამდეო. საერობო გადასახადი არ ეპატიებათ.

✦ 17 აპრილს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება **საყინულეთა მოწყობის საქმის კურსებს** მართავს. ამის გამო მოსკოვის საზოგადოებამ წინადადება მისცა ტფილისის საზოგადოებებს, გაჰგზავნონ კურსებზე თავისი წარმომადგენელი. კურსებზე ლექტორებად მიწვეული არიან შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორები.

✦ **ა. ვ. კრივოშეინმა,** მიწათ-მოქმედებისა და მიწათ მოწყობის მთავარმა გამგემ 9 აპრილს დაათვალიერა ტფ. საბოტანიკო ბაღი და კავკასიის სააბრეშუმო სადგური. ამავ დღეს, საღამოს 10 საათზე, ტფილისიდან ბორჯომს გაემგზავრა. სადგურამდე გააცილეს მეფის მოადგილის თანაშემწემ, სენატორმა ვატაციმ, მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორმა ნ. ლ. პეტერსონმა, მეფის მოადგილის საბჭოს წევრმა ჯუნკოვსკიმ, რკინის გზის უფროსმა ბარონ დერ ფონ როოპმა და სხვებმა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის განათება.** 9 აპრილს ქალაქის გამგეობისა, ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიისა და მიწვეულ მცოდნე პირთა შეერთებული კრება მოხდა, ქალაქის ცენტრალურ საელექტრონო სადგურის თაობაზე. კრებას დაესწრო პროფესორი არტემიევიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ საჭირო არ არის ქალაქმა საელექტრონო კონცესია ვისმე კერძო პირს, ან ფირმას მისცეს; ახლანდელი საელექტრონო სადგური ნელ-ნელა უნდა გაფართოვდეს საჭიროების მიხედვით; ქალაქის საელექტრონო სადგურს, ბ-ნ არტემიევის აზრით, ზარალი არ ექნება, თუ დღისით ელექტრონის ძალას სხვა და სხვა ფირმასა, ფაბრიკასა და ქარხანას დაუთმობს, ხოლო ღამით ქალაქის გასანათებლად მოიხმარებსო. კრება დაეთანხმა ბ-ნ არტემიევის აზრს და ყველა ფირმასა და კერძო პირის წინადადებანი უარჰყო. ამ საკითხის შესახებ ქალაქის გამგეობა მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის** მიმდინარე წლის შემოსავლის აღრიცხვა ნავარაუდევია 10,800 მან., შარშანდელზე 6,000 მან. მეტად. გამგეობას იმედი აქვს, რომ 6,000 მან. მეტს აუცილებლად მიიღებს წელს, რადგანაც ხარჯის ამკრებ მამასახლისისა და მის თანაშემწის თანამდებობას აარსებს. ამ ჟამად მდაბიო მოქალაქეებზე ითვლება 100,000 მან დარჩენილი გადასახადი.

✦ ქართ. კულტ. მოყვარ. საზოგ. მორიგი კრება (საჯარო) მოხდება სამშაბათს, 16 აპრილს, ქართულ თეატრში. პ. ინგოროყვა წაიკითხავს თავის რეფერატის მეორე ნაწილს: „მიუძღვის წმ. ნინოს ღვაწლი თუ არა?" რეფერატის შემდეგ გაიმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველას. ფასები სახალხოა: 5 კ.—50 კ., დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

✦ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების** გამგეობის კრება 9 აპრილს მოხდა ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით. გამგეობამ დაამზადა საანკეტო ფურცლები, რომელიც საზოგადოების წევრებს დაეგზავნება. წევრებმა გამგეობას უნდა აცნობონ, რა ტიპისა და როგორის მოწყობილობის ბინები მიაჩნიათ საჭიროდ.

სასწავლებლებში

✦ **ქალთა უმაღლეს კურსების** საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, შემოიღოს კურსებზე სწავლება ღვთის მეტყველებისა და კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს, ისტორიისა.

სასამართლო

✦ **სამ კაპეიკიანი დავა.** ცნობილი გ. ზ. ქანანოვი ტრამვაის დირექტორს უჩივის სამ კაპეიკს. საჩივარში სწერს, ერევნის მოედნიდან ვაგზლამდე მუშტაიდით მისვლაში 5 კ. მაგივრად 8 კ. გადამახდევინეს, რის უფლებაც არა აქვს ქალაქთან დადებულ ხელშეკრულობის ძალითაო. საქმე მესამე სამომრიგებლო განყოფილებაში გაირჩევა.

✦ ქალაქის მიწის-მზომელმა მელიქ-ახვერდოვმა სამართალში მისცა „კავკაზის" რედაქტორი ბ-ნი სლივიცკი, რომელმაც ამ გაზეთში ცნობა მოათავსა ქალაქის სამიწისმზომლო განყოფილებაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ.

გორი.

✦ ამ მოკლე ხანში გორის საკრებულო დარბაზში გაიმართება საინტერესო **სალიტერატურო და სამუსიკო საღამო,** მონაწილეობას მიიღებენ; კიტა აბაშიძე, დავ. კლდიაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ს. ფაშალიშვილი, კომპოზიტორი ნ. პ. სულხანიშვილი, მომღერალი ი. შამიანელი და სხვანი.

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

9 აპრილის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საბჭომ საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიებს გადასცა კანონ-პროექტები: 1. ჯარის კაცებს არ ჩაერიცხოთ სამსახურის დროს ციხეში ჯდომის ვადა, 2. საჩივრის აღძვრის წესრიგის შეცვლა იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხის საცხოვრებელი ბინა ცნობილი არ არის, 3. პოლონეთისა და პრიბალტიის გუბერნიებში 3 ივნისის 1912 წლის კანონის შემოღება უკანონო შვილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უკამათოდ მიიღეს შვიდი კანონ-პროექტი. მიიღეს კიდევ ერთი კანონ-პროექტი ნეიდგრადის მცირეოდენის შესწორებით. ერთი კანონ-პროექტი გადაეცა შემთანხმებელ კომისიას.

დახურულ სხდომაზე მიიღეს 1913 წლის ახალგაზრდა ჯარის კაცთა კონტინგენტის და რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი.

შემდეგი სხდომა 24 აპრილს მოხდება.

ჟურნალისტის დღიური

130.

ჩვეულებრივი მოვლენა.

არ გვეგონა, თუ ინტერესი იმ საქმისადმი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩვენი ქვეყნისთვის, ერთბაშად მინელდებოდა და თვით საქმეც დავიწყებას მიეცემოდა! მე მოგახსენებთ სანადელო ფულზე. ხომ ყველას ახსოვს, რანაირი აურ-ზაური გამოიწვია ამ საკითხმა, რამდენი ქაღალდ-მელანი დაიხარჯა სხვადასხვა პროექტების შესადგენად? ეხლა კი ისეთი სიჩუმეა, ადამიანს ეგონება არასოდეს არავითარი აზრი არ დაბადებულა და არც არავინა ფიქრობს ამ საქმისთვისაო. არ ვიცით, ვის ელიან, ან რას ელიან ისინი, ვინც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამ საქმეს. განხორციელება განზრახული მიზნისა არც ისეთი ადვილი საქმეა, რომ მხართეძოზე ვიყოთ წამოწოლილი და შემდეგ ერთბაშად ყველაფერი გავაკეთოთ. თუ გვინდა რაიმე პრაქტიკულ შედეგს მივაღწიოთ, ეხლავე უნდა შევუდგეთ საქმეს და იურიდიულად ისე მოვაწყოთ, რომ განსაზღვრული პროცენტის გადადება საერთო საჭირო საქმეებისთვის ცარიელ სიტყვად არ დარჩეს.

ზოგიერთ ადგილებში მაზრის წინამძღოლებმა სამაზრო კრებებზე აღძრეს ეს საკითხი და სათანადო დადგენილებანიც გამოიტანეს. მაგრამ ამ დადგენილებებს მხოლოდ მორალური მნიშვნელობა აქვთ და არა იურიდიული. საჭიროა თვითოეულმა, რომელსაც სანადელო მიწაში ფული აქვს მისაღები, იურიდიულად უზრუნველყოფილი გარანტია მისცეს თავად-აზნაურობას. ეს კი არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც ბევრს შეიძლება ეგონოს. მოიგონეთ, რამდენი შრომა დასჭირდა დიმიტრი ყიფიანს, მოიგონეთ ბევრგან რანაირი სიჯიუტითა უხვდებოდნენ თავად-აზნაურნი ახალ აზრსა. დღეს შეგნება მეტია, მაგრა არა გვგონია ნაკლები ჩიჩინი დასჭირდეს. წინდაწინვე საჭიროა ყველაფრის გათვალისწინება, წინდაწინვე საჭიროა ვარაუდი, რომ ვიცოდეთ მაინც, მოხერხდება რამის გაკეთება, თუ ყველაფერი ოცნების სამეფოში დარჩება.

პროცესი დროებით ვალდებულების ლიკვიდაციისა სათანადო კანცელარიებში თავის რიგით წავა. ლოდინმა და დაყოვნებამ იქნება იქამდის მიგვიყვანოს, რომ განზრახული ფულის გადადება შეუძლებელიც გაჰხდეს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა თავად-აზნაურობამ ეხლავე მოჰკიდოს ხელი ენერგიულად საქმეს და იურიდიული გარანტიები შეჰქმნას.

აღარაფერს ვიტყვით პროექტებზე. ამის შესახებ ბევრი რამ ითქვა და უეჭველია ჯერ კიდევ ბევრი რამ ითქმება. დღეს იმდენად პროექტები არ არის საყურადღებო, რამდენადაც მუშაობა ფულის შესაგროვებლად. ქართველ საზოგადოებას შვენიერი საშუალება ეძლევა შეჰქმნას ფონდი სასარგებლო საქმისთვის, და უსაშინელეს დანაშაულობას ჩაიდენს თავად-აზნაურობა შთამომავლობის წინაშე, თუ უმოქმედობამ ეს შემთხვევა ხელიდან გამოჰგლიჯა. **შინაური.**

სასიამოვნო მოგონება

(არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებიდან)

საფლავის კარამდის სასიამოვნო მოგონებად დამრჩება სახელოვანი პუბლიცისტის არჩილის იშვიათი კეთილშობილება, დარბაისლობა, იშვიათი თავმდაბლობა და ზრდილობა.

მოგეხსენებათ 1904—1905 წლებში მთელ საქართველოში დიდი მოძრაობა იყო. მაშინ ქუთაისში ვიყავი და პირველად დავუახლოვდი ეროვნული იდეალების მატარებელ ჯგუფს.

ჩემთვის პირველად ავტონომია და საზოგადოდ ეროვნული საკითხი გამოურკვეველი და ბუნდოვანი იყო. ამიტომ ამ კითხვების გასათვალისწინებლად ხშირად მივმართავდი რომელიმე ამხანაგს, ამხანაგები ამიხსნიდ-

---

ქართული სკოლის ყბად აღების გამო

(დასასრული *).

ქართველ კათოლიკეთა სწავლა განათლების საქმეს მისიონერი პატრები თითქმის ჩვენამდე აწარმოებდნენ და აწარმოებენ დაუცხრომლად, მაგრამ პატრი მიქელ თამარაშვილის მოწმობით, მეჩვიდმეტე საუკუნე ყველაზედ უფრო ნაყოფიერი ყოფილა საქართველოსთვის, რადგანაც მაშინ დაარსებულა რომს (1629 წ.) პირველი ქართული სტამბა, გამოუციათ წიგნები, ლექსიკონი, გრამატიკა, კათეხიზმო და სხვა. პროპაგანდის კოლეგიაში დაუფუძნებიათ ქართული ენის შესასწავლად კათედრაცა. იმდროსვე ბევრ ქართველ ახალგაზდას გზა გაჰხსნია ევროპის მაღალ სასწავლოებში სწავლა მიეღოთ რათა ისეთი განათლებული ქართველები პატრებს მხარში ამოსდგომოდენ და ელვაწნათ გასანათლებლად ქართველთ ერისა. კათოლიკე მისიონერთა სკოლებში, სხვათა შორის, პირველ დასაწყისი სწავლა მიიღეს მიქელ ელიაშვილმა და თ-დმა გაბრიელ გელოვანმა. პირველმა გეომეტრია, ხოლო მეორემ ქალაქთა საგეოგრაფიო ლექსიკონი სთარგმნა.

აი დაახლოვებითი სურათი სწავლა განათლებისა, რომელსაც თაოსნობდნენ მისიონერი პატრები კათოლიკობის გასავრცელებლად საქართველოში. მაგრამ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე მარტო ლათინთ მისიონერთა მოღვაწეობით არ არის შესანიშნავი. ის ორი საუკუნე დრო არის ქართველთა განახლების და აღორძინებისა, მამულიშვილობის და ქრისტიანობის გრძნობის ტრფიალსა. მიმართულება იგი დაჰბადა ჩვენთვის საუბედურო ორმა გარემოებამ. ოსმალებმა ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ბიზანტიელებზე მოიწადინეს ქრისტიანე საქართველოს დაპყრობაც და ცეცხლითა და მახვილით მოჰგლიჯეს სამცხე-საათაბაგო, აკვანი და კერა ქართული კულტურისა და ვასალად გაიხადეს დასავლეთი ნაწილი საქართველოსი. მისი აღმოსავლეთი კი დაემორჩილა ვასალობით სპარსთაყეენებსა. ქრისტიანე საქართველო დარჩა ობლად, რათგანაც მოისპო ქრისტიანე სახელმწიფო ბიზანტია, რომელიც ქრისტიანობრივი განათლების ცენტრად ითვლებოდა, დედად იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებდა საქართველო. ამიტომ ბუნებრივი შეიქმნა ზოგიერთ ქართველ დიდებულთა მისწრაფება, რომ ბიზანტიის ნაცვლად სხვა საქრისტიანო სამეფო ამოერჩიათ. ისეთ სახელმწიფოდ მოსკოვი დასახეს და შეუდგნენ ცდასა, როგორმე დაახლოვებოდნენ. მაგრამ ბიზანტიის პერიოდის ქართველ გვირგვინოსანთ და დიდებულთ საპოლიტიკო მოწიფულობა ჰქონდათ, მოსკოვის მფარველობის მეძიებელ ქართველ მეფეებს, თუ სხვა მოღვაწეებს, კი აკლდათ. როგორც შეიტყეს ქართლ-კახეთის და მოსკოვის დაახლოვების ამბავი, შურის ძიების გრძნობა მოერიათ ირანის მბრძანებლებს და მოიწადინეს, ეხლა უფრო საფუძვლიანად გაბატონება ჩვენში: აიძულეს ქართველთ მეფეები, მაჰმადიანობა მიეღოთ, შემოიტანეს სამეფოს გამგეობაში თავიანთი წესები და ცხოვრებაში ზნე-ჩვეულება და სპარსული ენა. თუ მანამდე ყოველ წლივ ხარკად მიჰყავნდათ ქალვაჟნი, ეხლა მეფეებსა და ბატონიშვილებს, მათთან ერთად მრავალ დიდკაცობას ზედმეტად იბარებდნენ მძევლად და დიდხანს აღარ აბრუნებდნენ საქართველოში, ასე, რომ ისპაჰანი ნამდვილ საქართველოდ გადაიქცა ქართველთა სიმრავლის გამო. პატრი მიქელ თამარაშვილის მოწმობით, სამცხის ათაბეგის ქალი ელენე უნდა გაეთხოვებინათ დედოფლად სპარსეთში, მაგრამ მთავრის ასულს ეშორებოდა იქ წასვლა და უარზე იდგა, ვიდრე არ ანუგეშა მოძღვარმა, კათოლიკე პატრმა, ისპაჰანს ქართველობა ისევე ბევრია, როგორც საქართველოშიო. მდგომარეობა სწორედ აუტანელი შეიქმნა. ის ქართველობა, რომელსაც პოლიტიკური ცხოვრების და მოღვაწეობის უნარი ჰქონდა, სულ სხვა გზას დაადგა, სპარსეთის პოლიტიკის მიმხრობა არჩია, შაჰინშას გულის წყრომა რომ დაეცხრო და საქართველოსათვის აეცილებინა ახალი აოხრება. ასეთი იყო მრთელი რიგი მაჰმადიან მეფეთა, რომელთა შორის როსტომ მეფე, ქრისტიანე მარიამ დედოფლის მეუღლე, ყველასა სჯობდა პოლიტიკური გამჭრიახობითა.

მოსკოვისა და ქრისტიანობის მოსავი ქართველობა, მეფენი, მღვდელმთავარნი და დიდებულნი ქართლის გასაბედნიერებლად საუმჯობესოდ ჰსახავდნენ მამაპაპის გზით სვლას და ხალხის აღსაღორძინებლად მათი ენის და ზნე-ჩვეულებისთვის მიბაძვას ჰქადაგებდნენ. როგორ შეიძლებოდა, ერის აღორძინების საქმე განვითარებულიყვეს უსკოლოდ? მართალია, ლექსთა თარეშობის დროს, დროებით ქართული სკოლის საქმე შეფერხდა, მაგრამ რა ძლიერი კულტურა უნდა ჰქონოდა ხალხს, რომ უსკოლოდ გამოზრდილიყო ისეთი მაღალ ნიჭიერი პოეტი, როგორიც იყო დავით გურამიშვილი, მოციმციმე ვარსკვლავი მეთვრამეტე საუკუნის პოეზიის ისევე, ვით იოსებ ტფილელი, ავტორი **დიდმოურავიანისა,** იყო მეჩვიდმეტე საუკუნის პოეზიისთვის. როგორ შეიძლებოდა სწავლის საჭიროება და სარგებლობა არ სცოდნოდათ იმ დროს, როცა გურამიშვილი ჰღაღადებდა:

სწავლაზე ურჩი და მორცხვი
თვალით არ დასანახია;
სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთელის შვილის ყოლასა;
შვილი ბრიყვი და უცები
დედ-მამას განათავებსა;
უცოდინრობით ასეთსა
საქმეებსა იქს ავებსა,
გვარსა და ნათესავებსა
სირცხვილი სჭრიდეს თავებსაო.

აღორძინების დრო შრომის სიყვარულის ქადაგების დროც იყო, რადგანაც წარმატება, როგორიც უნდა იყვეს, შრომისა და ჯაფის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. უქმად ყოფა პირველ პიონერს ქართველთ აღორძინებისას მეფე პოეტს, თეიმურაზ პირველს, აშინებდა, პირუტყვოთა ფშვინვა ეგონა, სულის შემაწუხებელი, რის გამო კაცს შესაძლო იყო, კარი დახშოდა სამოთხისა. უქმად ყოფა მოსწავლეთათვის კიდევ უფრო მავნებელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც სიცოცხლეშიაც დაიტანჯებოდნენ.. ამიტომ იყო, რომ იგივ დავით გურამიშვილი, სწავლის მძებნელს ურჩევდა,

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა;
ჭირს მყოფი, ლხინში შესული
შვებად მიითვლი ვნებასა.
სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი,
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს
გასტანჯავს წუთი-სოფელი-ო.

ცოდნა მაშინ საჭირო იყო, არა თუ უქკუოსთვის, არამედ ჭკვიანისათვისაც. პოეტი საკუთარის ცხოვრებით დარწმუნდა, თუ რამდენად მწარე იყო მისი **უცებობა,** მისი **უცოდინრობა**. ამიტომ კიდეც უხსნიდა იმავ მოსწავლეს ცოდნის ვითარებასა,

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა,
რაზომცა დაეტარების;
ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების;
ჰგავს უხორთუმო სპილოსა
ჭკვიანი კაცი ბრიყვია!
გაცოფებული გულზრახად
ვეფხი უკლანჭოდ ომობდეს,
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთნელი
ვერ მიხვდეს, რასაც ჰნდომობდეს.
ბრძენსა აქვს თავისუფლება,
სოფელში ყოფნა-ნებისა,
ბრძენი სადაც არს, დარჩების,
საუნჯე თან ექნებისაო.

აღორძინების უტყუარი თავდები იყო აგრეთვე თავისი ვინაობის ცოდნა, ამიტომ მაშინდელი ახალ მოზარდი ყრმის წვრთნა შეუძლებელი იყო ისე, რომ მისთვის ისეთი გრძნობა არ განევითარებინათ. სწავლის თავ და თავ საფუძვლადაც დასახულ იქმნა **ცნობა თავისა.** ამიტომ დავითიანის ავტორიც გვეუბნება,

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს,
საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ეხლა ვიკითხოთ. სად იყვნენ აღზრდილნი მაშინდელი სახელოვანი მწერლები თეიმურაზ პირველი, თეიმურაზ მეორე, არჩილ მეორე, იოსებ ტფილელი, საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, ანტონ I კათალიკოზი და ის კრებული მსწავლულთა, რომელნიც ვახტანგის თანამოღვაწედ ითვლებოდნენ მწიგნობრობის და წიგნების გამოცემის საქმეში? ნუ თუ ზეცამ ჩამოჰყარა? ისეთი სატრფიალო გახდომოდათ ყრმათა აღზრდის საქმე, რომ ბატონიშვილები სახელმძღვანელოებს სთარგმნიდნენ, თუ სწერდნენ სკოლებისთვის. იმ პატიოსან და განმანათლებელ მამულიშვილთა წრეს, რომელიც ერის აღორძინებისთვის ზრუნავდა, საუკეთესო დრო დაუდგა ვახტანგ მეექვსის მეფობაში, როცა თვით მწერალი მეფე შეიქმნა ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი საქმისა, როცა მის კეთილ განზრახვათა შესრულებას ხელს უწყობდნენ თავიანთი მწერლობით და მხნეობით ისეთი ნიჭიერი ხალხი, როგორნიც იყვნენ საბა სულხან-ორბელიანი, ანტონ I კათალიკოზი და ვახუშტი ბატონიშვილი.

ვახტანგ მეფის სამწიგნობრო მოღვაწეობა ქართველთა განათლების-

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 868

ნენ, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში კი, არჩილ ჯორჯაძის წერილებზე მიმითითებდნენ. მეც ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, შემესწავლა ამ წერილების დედა-აზრი და ის საფუძველიც, რომელზედაც ემყარებოდა უდიდესი ქართველი პუბლიცისტი. ვკითხულობდი მათ და ვითვისებდი, როგორც სახელმძღვანელო მასალებს. უზომოდ შემიყვარდა არჩილ ჯორჯაძის წერილების კითხვა! შემიყვარდა თვით არჩილ ჯორჯაძეც, და ემი უდიდესი წყურვილი ის იყო, რომ როდისმე მაინც გავცნობოდი პირადად. მალე ეს სურვილიც ამისრულდა.

1907 წელს ქ. ბათომში ვიყავი ავთის ქარხნებში გემების დამტვირთველ მაჰმადიან და სომეხ მუშებს შეტაკება მოუხდათ. შეტაკება სისხლის ღვრამდე მივიდა. სომხებმა რი მაჰმადიანი და ერთი ქართველი მუშა მოჰკლეს, ასევე ჩაიდინეს მაჰმადიანებმაც. მდგომარეობა ძალიან მწვავდა. მომავალი ხოცვა-ჟლეტის ავიდან ასაცილებლად გაიმართა ება და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა თათბირი. ამ კრებაზე პირველადა ნახე არჩილი. კრების გახსნამდე ის და ერთ ადგილას, აზრიან, მაგრამ ღვლიან, თვალებს ხშირად მიაპყრობდა დამსწრეთ.

ძლიერ დავინტერესდი ამ იშვიათი როვნებით. ვიცოდი, არჩილი ბათომში სცხოვრობდა. ვიფიქრე, არჩილ ჯორჯაძე უთუოდ ეს იქნება მეთქი. გულში ტოკვა დამიწყო. ვიკითხე მისი ვინაობა. მითხრეს ისაა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა ვილაცამ სთქვა, თავმჯდომარე ავირჩიოთო. დაასახელეს დასელი. ე, ჩემდა უნებურად ძლიერ ხმა-მაღლა წამოვიძახე—„არჩილ ჯორჯაძე“—მეთქი.

უმრავლესობით თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა არჩილ ჯორჯაძე. ეხლა ჩემი ნატვრა ის იყო, რომ თვითონაც ელაპარაკნა არჩილს. ილაპარაკა.

გრძნობიერი და მომხიბლავი იყო მისი სიტყვა. მაღალი იყო მისი აზრები. სპეტაკი იყო მისი გრძნობა, მისი სული, ხოლო მაღალი, იდეალისებური, იყო მისწრაფებანი!

ამ შემთხვევის შემდეგ ის სრულიადაც არ ერიდებოდა ჩემთან შეხვედრას და ლაპარაკს. არ ვიცი საიდან, მაგრამ იცოდა კი, რომ მისი აზრების მადმერთებელი ვიყავი. ერთხელ ზაში მეხვედრილს ველაპარაკებოდი და, სხვათა შორის, უამბე, როგორი და რამდენი ჩვენი ამხანაგი მუშები იყვნენ ეროვნულ საკითხებში არჩილის მოძღვრების მიმდევრები. ეს ს ძლიერ იამა და ტკბილი, მომხიბლელი სიტყვით წამახალისა სამუშაოდ.

„ბევრი გარემოებანია,—მითხრა არჩილ ჯორჯაძემ,—რომელნიც საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ შორს არ არის დრო, როცა მშრომელი ხალხი ჭეშმარიტ გზას მიაგნებს და მით ავა წინ, უკეთესი მომავლის მოსალოდნელადაო“!

არჩილის სიტყვა დღითი-დღე მართლდება. მშრომელი ხალხი პირველი სტიქიური გატაცებიდან გამოერკვა და ძებნა დაუწყოს ჭეშმარიტ გზას! ამ ჭეშმარიტებას კი ის ჰპოვებს არჩილ ჯორჯაძის დიად მოძღვრებაში. ამისი საბუთი ბევრია.

იმ ხანებში მე ჩრდილოეთისაკენ „გამასეირნეს“ და მას შემდეგ ველარსად შევხვდი ქართველთა უდიდეს პუბლიცისტსა და იშვიათ **ადამიანს**, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

მეორედ ველარ ვ ხილე საუკეთესო მამულიშვილი და მშრომელი ხალხის გულ-შემატკივარი და მოჭირნახულე.

დღეს ეს დიდი ადამიანი ქართველ ხალხს ხელიდან გამოსტაცა ულმობელმა სიკვდილმა!

სავალალოა მშრომელი ხალხისა და მთელი ქართველი ერის დაობლება, თორემ არჩილმა უკვდავება განიმტკიცა! სანამ ერთი ქართველი მაინც იქნება ცოცხალი, ცოცხალი იქნება არჩილ ჯორჯაძეც, როგორც ერის საუკეთესო და მისთვის თავდადებული შვილი!..

ჩვენ-კი უნდა ვინუგეშოთ იმით, რომ არჩილის დიადმა მოძღვრებამ მკვიდრი საფუძველი გაიდგა ხალხში და ამას იქით ეს მოძღვრება იქნება მშრომელი ხალხის წინამძღოლი.

ი. კორტი.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძის ნაწერებიდან

ჩვენ განვიზრახეთ არჩილ ჯორჯაძის ნაწერებიდან მოკლე აფორიზმების კრებული შევადგინოთ. ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია მისი ნაწერები, ყველა ვინც მასში ხედავს ტკბილ და ბრძენ მასწავლებელსა და მოძღვარს, ყველასათვის ამგვარი კრებული მეტად სასიამოვნო რამ უნდა იყოს. სტილი არჩილისა პირდაპირ ფოლადისაგან არის გამოკვეთილი, მისი კალამი მისი გულის სისხლშია ამოვლებული და ყოველი სტრიქონი მისი ნაწერებისა მისი მგზნებარე სულით არის გაჟღენთილი.

მთავარი საგანი მისი მწერლობისა და მოღვაწეობისა „ეროვნული პრობლემა“ იყო და სწორედ ამ საგანს თავს დასტრიალებს მთელი მისი მრავალნაყოფიერი, თუმცა მოკლე-ხნის, მწერლობა. სიწრფელე მის გრძნობათა, ღრმა რწმენა იმ იდეალებისა, რომელსაც იგი თაყვანსა სცემდა ერთგვარ წინასწარმეტყველურ ელფერს აძლევს და კილოს მის ნააზრევებს და ერთხელ გაგონილი გინდ წაკითხული მთავარი მისი ტეზისები საუკუნოდ წამკითხველის გულზე აღბეჭდილი რჩებიან.

არჩილ ჯორჯაძე და მისი მწერლობა მეტად დიდი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. იგი ქართულ ინტელიგენციის ახოვნების ერთი დიდი წარმომადგენელთაგანია და ჩვენ „საჭირ-ბოროტო“, „თავში საცემ“ ეროვნულ კითხვის სალ და მთელ ნიადაგზე დამ-ფუძნებელი. მისი დაფასება პატარა წინასიტყვაობაში შეუძლებელია, მისი მწერლობისა და მოღვაწეობის დამფასებელი არა ერთი იქმნება. მას თავისი დრო აქვს ის ყოვლის წარმტაცი დრო, რომელიც ჩვენ გლოვისა და ვაებასაც თავის კანონიერ გზას უჩვენებს და თანდათან მის სიფიცხეს და სიმწვავეს აანელებს. დღეს დღეობით კი ყოველგვარად უნდა ხელი შევუწყოთ მისი დიდებულის აზრების გავრცელებას, რომლის ერთ-ერთ იარაღად ჩვენ მიგვაჩნია მისი ნაწერების კრებულიდან ამოკრებილი ეგრედ წოდებული „აფორიზმები“.

ეს აფორიზმები ჩვენ სამ კატეგორიად გავყავით: პირველში მოვაქციეთ უმთავრესი საგანი მისი მწერლობისა „ეროვნული პრობლემის გარშემო“, მეორეში პირველთან მჭიდროდ დაკავშირებული „საერთო მოქმედების“ ნიადაგი, ამაშიაც უმთავრესი ყურადღება „საეროვნო საკითხს“ აქვს მიცემული. მესამეში კი რომელსაც „სხვა და სხვა“ უწოდეთ მოთავსებულია მისი აზრები ლიტერატურისა, ფილოსოფიისა, მორალისა, სოციოლოგიისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შესახებ. „აფორიზმები“ ხრონოლოგიურად არიან დაწყობილნი.

კიტა აბაშიძე.

აფორიზმები

არჩილ ჯორჯაძის ნაწერებიდან

(1901—1902 წლ. ტ. IV)

„ეროვნულ პრობლემის გარშემო“.

იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელნიც აღძრა ჩვენმა ცხოვრებამ, ყველაზე მეტად ღირს-შესანიშნავი ეროვნული საკითხია, რადგან მისი სისწორით განმარტება და აღსნა იმავე დროს აღსნაა სოციალურ საკითხისა.

◆

ეროვნულ საკითხს საქართველოში, როგორც ყოველ სხვა საკითხს, არასოდეს არ უნდა შევხედოთ დოქტრინალური თვალით, იმიტომ, რომ ამ სახით ძნელია განმარტება ცხოვრების ყველა მოვლენათა, მთელის მათის სივრცით და სისრულითა, ეს საკითხი სხვა არა არის-რა, თუ არ წესიერად წამოყენებული საკითხი ადამიანთა სიცოცხლისა და თავისუფლებისა.

◆

რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაა—ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიცაა, არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენ ერს თანდათანი გადაგვარება მოელის.

◆

თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი ორგანოები ჰქონდეს, ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

◆

როდესაც მოწმე ხარ ერის გადაგვარებისა, როდესაც ჰხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირად ემუქრება ხალხის ყველა კლასთა, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში—თუ ჯერ კიდევ სრულიად არ არის ღონემიხდილი—არის აზრი საერთო აღორძინებისა და საერთო მოქმედებისა თავის ვინაობის დასაცავად და შესარჩენად.

ჩვენს, ქართველ ინტელიგენციის, წინაშე წამომდგარია ერთი ინტეგრალური საკითხი ჩვენის ერის ეკონომიურ და სულიერ წარმატებისა, ის საკითხი, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენის ქვეყნის ყველა შეგნებულმა წევრმა.

◆

ეროვნება ამ ჟამად, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ერთა შორის, აუცილებელი პირობაა ადამიანთა თავისუფლად განვითარებისათვის და მხოლოდ იმდენად შესაწყნარებელია, რამდენადაც იგი სავსებით ემსახურება ამ დანიშნულებას.

◆

სამშობლო ენა გონების წარმატების აუცილებელი პირობაა, სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს ეკარგება საჭირო ორგანო გრძნობების და იდეების გამოთქმისათვის.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა

საგანგებო გამოცემა

როგორც შევიტყვეთ, გამომცემლობას დაუმთავრებია ლექსების და პოემების ბეჭდვა და შესდგომია მოთხრობებს, რომელთა ბეჭდვაც მალე დამთავრდება. ამას მოჰყვება ვარიანტები, ნაწყვეტები (დაუმთავრებელი ლექსები და მოთხრობანი) და შენიშვნები. იმედია თიბათვის დასაწყისში წიგნის ბეჭდვას დაამთავრებენ.

რაც შეეხება დიდ სურათებს, რომელნიც ფოტოტიპიურად უნდა დაიბეჭდოს—უმეტესი ნაწილი გაიგზავნა პეტერბურგში, სადაც მოკლე ხანში დაამზადებენ ფოტოტიპიებს. დანარჩენ 5 სურათსაც ამ დღეებში მხატვარი დაამთავრებს და ესენიც პეტერბურგს გაიგზავნება, ასე რომ ზაფხულისთვის დარჩება მარტო აკინძვა და ყდაში ჩასმა. ამ რიგად იმედია, რომ წიგნი ხელის მომწერთ მომავალ სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში დაურიგდებათ.

გამომცემლობას კიდევ მისდის სხვა და სხვა ადგილებიდან ახალი ხელის-მომწერთაგან ფული, მაგრამ გამომცემლობა, მეტ-ხელის მომწერთ ველარ მიიღებს, რადგანაც იბეჭდება წიგნის განსაზღვრული რიცხვი ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით და არც ერთი ზედმეტი ეკზემპლიარი გამომცემლობას არ გააჩნია ახალი ხელის-მომწერის დასაკმაყოფილებლად.

კომისიაში მიწვეული არიან ლასხიშვილი და ჩიგოგიძე

წერილი ხარკოვიდან

(საკ. კორესპონდენტისაგან)

1 აპრილს ხარკოვის გაზეთ „უტროში“ მოთავსებული იყო დაუვიწყარი არჩილ ჯორჯაძის სურათი, შემდეგი წარწერით: „განთქმული ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე († 21 მარტს, ქალაქ ბათომში)“. წინა დღით, კვირას კი იმავ გაზეთში მოთავსებული იყო საექიმო ფაკულტეტის სტუდენტ ანდრია ბერეკაშვილის წერილი არჩილ ჯორჯაძის შესახებ, რომელშიაც მოკლედ იყო აღნიშნული განსვენებულის ბიოგრაფია და ღვაწლი ქართველ ერის წინაშე.

⁂

27 მარტს მოხდა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, განიხილეს ქართული სამეცნიერო და სალიტერატურო წრის წესდება. საბჭომ წესდება არ დაამტკიცა და მიზეზად ის წამოაყენა, რომ კანონის ძალით წრის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი უსათუოდ ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტის პროფესორი და ან პრივატ-დოცენტი უნდა იყვესო. რექტორი და პრორექტორიც კი გვპირდებოდნენ, თქვენი წრის წესდებას უეჭველად დავამტკიცებთო, მაგრამ იმედი სრულიად მოულოდნელად გაგვიცრუვდა. როგორც შევიტყვეთ წრის დამტკიცების წინააღმდეგ იმიტომ უფრო წასულან, რომ მოხსენებანი წესდების ძალით ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო და სწორედ ამას ვერ შერიგებიან „პატრიოტი“ პროფესორები. ამავე სხდომაზე დაადგინეს, მომავალ ივნისში ტფილისში ბუნების მეტყველთა და ექიმების მე XIII-ე კრებაზე შემდეგნი პირნი გამოგზავნონ: პროფესორნი: ვ. ფ. ლევიტსკი, ა. ნ. ანციფეროვი, ი. რ. პენსკი, ა. ვ. რეპრიოვი, ვ. დ. ბრანტი, ნ. ა. ვალიაშკო და ი. ი. პოსტოევი, პრივატ-დოცენტი ნ. პ. კრასოვსკი და ლაბორანტი ა. შპანიანი.

⁂

ხარკოვის საექიმო ფაკულტეტზე სახელმწიფო ეგზამენები 16 აპრილიდან დაიწყება.

წელს ხარკოვის საექიმო ფაკულტეტს შემდეგი ქართველები ათავებენ: ქედლიძე ნიკოლოზი, ნიჟარაძე დიმიტრი, წულუკიძე ალეკო, ნათიძე გრიგოლი, კუპაიძე ვლადიმერი, ოსილაშვილი ალექსანდრე, კაველაძე პავლე, ავალიშვილი გიორგი, ნ. ორლოვსკი, ვლ. კამპანონი, ლ. ნაზაროვი და ივ. ჯაფარიძე.

ალ. წ—ლი.

რუსეთი

4 აპრილი პეტერბურგში.

რამდენიმე დღის წინად იცოდნენ, რომ ლენის ამბების წლის თავზე მუშათა დემონსტრაცია მოხდებოდა. ყველაზე უკეთესად იცოდა ეს, რასაკვირველია, პოლიციამ და ამიტომაც შეუდგა თავისს თადარიგს. ამით აიხსნება ის მრავალი ჩხრეკა და დაპატიმრება, რომელიც პოლიციამ ამ ბოლო დროს მოახდინა.

4 აპრილს დილა ადრიან ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში გაძლიერებული პოლიცია ირეოდა. ნევის პროსპექტზე ცოტაოდნად „საეჭვო და არასაიმედო“ პირს არ უშვებდა პოლიცია. არვალის ქარხნის მუშები გამოვიდნენ და დაგუგუნეს სარაველიუციო სიმღერა: „თქვენ მსხვერპლნი გახდით“. პოლიციამ მაშინათვე გაფანტა დემონსტრანტები და შეიპყრო ოთხი მუშა. ეს პატარა დემონსტრაცია ნიშანი იყო სხვა დემონსტრაციებისა.

დილიდანვე პეტერბურგის ქარხნების უმეტესი ნაწილი გაიფიცა. ნაშუადღევის პირველ საათზე გაფიცული იყო 60,000 მუშა.

დილის რვა საათზე „ფენიქს“-ის ქარხანაში სამექანიკო სახელოსნოში მუშათა მიტინგი მოხდა; მიტინგს 500 კაცი დაესწრო. რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა. როდესაც მუშებს წინადადება მისცეს მიეტოვებინათ ქარხანა, ისინი მწყობრად გამოვიდნენ ქარხნიდან და გალობით—„საუკუნო იყოს ხსენება შენი“—გაემართნენ ქუჩებისკენ. ერთსა და იმავე დროს მუშაობა მიატოვა 4,000 მუშამ. ისინი სიმღერებით და წითელი დროშებით გაემართნენ. დემონსტრაციას პოლიცია დაეჯახა.

ბოქაულის ბრძანებით გოროდოვოებმა იშიშვლეს ხმლები და მანიფესტანციის დაშლას შეუდგნენ; რამდენიმე მუშას გაარტყეს ხმალი სიპრტყით; შემდეგ ცხენოსანი პოლიცია მოვიდა და დემონსტრანტები დაშალა.

დილის 11 საათზე ვიბორგის მხრის რაიონში სხვა და სხვა ქარხანაში გაფიცული იყო 8,000 კაცი.

შუადღის 12 ს. გაფიცულთა შორის გავრცელდა მოწოდება, რითიც მუშებს იწვევდნენ მიძინების სასაფლაოზე „2 იანვრის მსხვერპლთა საძმო საფლავზე“ პანაშვიდის გადასახდელად. ქალაქის სხვა ნაწილებშიც ესევე ამბავი ხდებოდა. განსაკუთრებით პეტერბურგის მხარეს გაფიცვას მწყობრი ხასიათი ჰქონდა; თითქმის ყველა დემონსტრაციას წინ უძღოდა მიტინგი, საცა მუშებს უხსნიდნენ, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გაფიცვას. იმ დღეს პეტერბურგის ცხოვრებამ რაღაც სხვანაირი ელფერი მიიღო. პოლიციას დიდი ჯაფა დაადგა; შეიპყრეს ბევრი მუშა, მათ შორის ახალგაზრდობაც.

5 აპრილს, სტამბების გაფიცვის გამო, არ გამოვიდა „დენი“, „ლუჩი“ და „პრავდა“.

სტუდენტ გლოტოვის თავის მოკვლა.

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ცხოვრება ხელახლად აიმღვრა, ხელახლად შეძრწუნდნენ სტუდენტები თავზარ დამცემი ამბით. 3 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე, როდესაც ლაბორატორიებში მეცადინეობა და მუშაობა იყო. აკადემიაში თავი მოიკლა მეორე კურსის სტუდენტმა ბენიამინ გლოტოვმა.

სანამ თავს მოიკლავდა გლოტოვი, იგი ამხანაგებთან დასეირნობდა. ბაასობდა მათთან. სახე ფერმკრთალი და გაფითრებული ჰქონდა, მაგრამ იგი არაფრით იმჩნევდა თვის განზრახვას. სამი საათი იქნებოდა, როცა საისტორიო-საბუნებისმეტყველო განყოფილებაში ორჯელ გაისმა სროლის ხმა; სტუდენტები სროლის ხმაზე მიცვივდნენ და დაინახეს იატაკზე გათხლართული და საფეთქელ განგმირული გლოტოვი: იგი უკვე მკვდარი იყო.

გლოტოვის თავის მოკვლამ ძლიერ ცუდად იმოქმედა სტუდენტებზე; ბევრ სტუდენტს გული შეუწუხდა, ბევრმაც ქვითინი მორთო. განსვენებულს აღმოაჩნდა ბარათი, საცა იგი თავის მოკვლის მიზეზს ასახელებს. მოგვყავს წერილის ადგილები „აქამდეს ჩემ ცხოვრებაში ჩემი საწინაღმდეგო არაფერი მომიქმედია; პირველად ეს ჩავიდინე, აკადემიაში ხელმეორედ რომ შეველი. ვგრძნობდი, ვიცოდი, რომ მოვალე ვიყავ წავსულიყავი. ჩემი გონება, სინიდისი მაიძულებდა, ეს ჩამედინა, მაგრამ გამბედაობამ მიღალატა შიშველი ხელებით ჩავბმოდი ცხოვრების ბრძოლაში. ჩემი ნების-ყოფა იმდენად სუსტი გამოდგა, რომ ვერ შევსძლო შემესრულებინა ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც ძველ ცხოვრებასთან ყოველივე კავშირის გაწყვეტა და ახალ ცხოვრებაში შესვლა; არ ვიცი, რამ დამაფრთხო, რამ შემაშინა, მაგრამ აკადემიაში დავრჩი. ეს ჩემთვის არც ხელსაყრელი იყო, და მძაგდა კიდეც, მეზიზღებოდა; მაინც დავრჩი. პატარა საქმისთვის უძლური გამოდგა ჩემი ნება და არ ვიცი დიდ საქმისათვის როგორღა გამომადგებოდა; ეს შეიძლება იმათ გაიგონ, ვინც ამ ბარათს წაიკითხავენ. ყოველ შემთხვევაში გუშინვე გადავწყვიტე თავის მოკვლა. შეუძლებელია სუსტი ნებით ცხოვრება და მისი აღზრდა, განვითარება კი ჩემს ძალას, ღონეს აღემატება. გუშინვე მოვიმზადე ყველაფერი, რათა ლამაზად, შნოიანად მაინც მოვმკვდარიყავ და ჩემის სიკვდილით სხვაში ზიზღი, სირცხვილი არ აღმეძრა. როგორც ექიმი სიკვდილის სურათს უნდა შევჩვეულიყავი, არ მეშინიან სხვისი სიკვდილისა და არც საკუთარი სიკვდილი მაშინებს. იგი უფრო სასიხარულოდ მეჩვენება იგი გადასწყვეტს ყველა საკითხს და ეჭვებს“.

4 აპრილს, დილის 9 საათზე, საანატომიო მუზეუმში, საცა განსვენებულის ცხედარი ასვენია, გადაიხადეს პანაშვიდი; პანაშვიდს აუარებელი სტუდენტობა დაესწრო, იყო რამდენიმე პროფესორიც. განსვენებულ სტუდენტის კუბოს ამშვენებენ დორპატში წასული სტუდენტთა გვირგვინი წარწერით: „სულით ჩვენთან ხარ, მეგობარო!“ მეორე ლენტზე სწერია: „გასულ სტუდენტებისაგან“. განსვენებულს დაასაფლავებენ პარასკევს.

ბალკანეთი და ევროპა

გაზეთებიდან.

ზავის მოლოდინში.

„ოტომანის სააგენტო“ იტყობინება, რომ ბრძოლის შეწყვეტა სიტყვიერი შეთანხმებით მოხდა შემდეგ პირობებში:

1) ბრძოლა შესწყდება ჩათალჯასა და ბულაირთან 10 აპრილამდე.

2) თუ ამ ხნის განმავლობაში ზავის ჩამოგდება ვერ მოხერხდა, დროებითი შერიგების ვადა კიდევ გაგრძელდება

3) ორივე მხრის წარმომადგენლები გამოარკვევენ ნეიტრალურ ფარგალს.

4) ომის განახლების შესახებ მოპირდაპირეებმა 48 საათით ადრე უნდა აცნობონ ერთმანეთს.

5) დროებითი შერიგების დროს ოსმალეთის ფლოტი ხელს არ შეუშლის ბულგარეთს თავის ჯარისათვის ეგეისა და შავი ზღვით სურსათის მიტანაში.

ალყის აყრა.

პეტერბურგის დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, რომ, რადგან გადაწყდა საკითხი ჩერნოგორიისათვის საზღაურის მიცემისა, სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ აჰყარონ ალყა ჩერნოგორიისა და ალბანეთის სანაპიროებს.

სესხი ჩერნოგორიას.

„ბერლინ. ტაგებლატ“. ცნობით, ელჩთა ლონდონის კონფერენციამ გადასწყვიტა, 30 მილიონის სესხი უშოვოს ჩერნოგორიას. სესხი დიდი სახელმწიფოებისაგან იქნება უზრუნველყოფილი.

რუსეთი და მოკავშირეები.

რუსეთის დიპლომატია ყოველნაირ ღონისძიებას ხმარობს, რომ მოკავშირეთა შორის ჩამოვარდნილი შუღლი ძმური მორიგებით გათავდეს. ეტყობა, პეტერბურგი უნდოდ ეკიდება ბულგარეთის ზრახვას გეგემონიის ხელში ჩაგდებისა ბალკა-

---

ვის ხანგრძლივი არ ყოფილა, რადგანაც მეფის ბედუკუღმართობამ შეწყვიტა. როგორც ვიცით, მაჰმადიანის კონსტანტინე კახთ ბატონისაგან დამარცხებული ვახტანგ მეფე, თავისი თანამოაზრე ქართველებიურთ, მოსკოვს გადასახლდა. პეტრე დიდისაგან მოელოდა დახმარებას სპარსეთის ჯავრის ამოსაყრელად, მაგრამ ვაის გაყრილი უის შეყარა, რადგანაც პეტრე დიდს ცოცხალს ველარ ჩაუსწრო და ყოველი ცდამ ქართლის ტახტის დასაბრუნებლად ამაოდ ჩაუარა.

რუსეთში ყოფილი ქართველები წორედ იმდროიდან გაეცნენ დაახლოვებით რუსულ სკოლას და, როცა ქართლ-კახეთის მეფედ ერეკლე მეორე შეიქმნა, ქართველთ სწავლა-განათლების საქმეს ბრწყინვალე მზემ სხივ გამოუნათა. დიდი ანტონ კათოლიკოზი იმდროს განძევებული ყო რუსეთს, როგორც კათოლიკობაზე მიქცეული და ვლადიმირის ეპარქიის განაგებდა, რადგანაც რუსეთის სინოდის წინაშე დაეგმო ფილიოქსვეს დოგმატი. ერეკლე მეფემ ანტონ დაიბარა და დანიშნა კათალიკოზად, მასვე მიანდო ახალი ევროპიული სკოლების დამართვა თელავსა და ტფილისში, რადგანაც მოსკოვის სლავურ ბერძნულ-ლათინური აკადემიის ვითარებას გასცნობოდა და საქართველოში ყოფნის დროსაც თანამოღვაწე იყო თავისი ბიძის ვახტანგ მეფისა, რომელსაც სეთი ამაგი მიუძღოდა ქართველთ სწავლა-განათლების საქმეში. რა დროს გაიხსნა ტფილისის სემინარია რ ვიცით, თელავის კი აკურთხეს 1783 წ. მაისის 28 ერეკლე მეფის და ანტონ კათალიკოზის თანადასწრებით. სადღესასწაულო სიტყვა არდის საჭიროებისთვის წარმოსთქვა პირველმა მისმა რექტორმა გაიოზ ხაცვლიშვილმა. სავალდებულო იყო სწავლა გრამმატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის და ღვთისმეტყველებისა, ამ საგნებისთვის საჭირო წიგნებიც იყო, ზოგი თარგმნილი, ზოგი შედგენილი. სხვა ავტორ მთარგმნელთ სახელებიც რომ არ ჩამოვთვალოთ, კმარა ვახსენოთ თვით ანტონ კათალიკოზი, რომელმაც მორწყო მაშინდელი საქართველო თავისი ნაწერებითა. საერთოდ ყველა იყო ჩაბმული სწავლა-განათლების საქმეში, როგორც რუსეთში ყოფილი, ისე ქართლში ადგილობრივი განათლებული ქართველობა. სხვა ენათა შორის რუსულისაგან უთარგმნიათ ისეთი თხზულება, რომელიც ეხებოდა მათემატიკას, სამხედრო ხელოვნებას, მედიცინას, ისტორიას, აგრეთვე სიტყვა კაზმული მწერლობა, როგორც მაგალითად ლომონასოვის და დერჟავინის ხოტბანი. თელავის სემინარიაში იყო ნასწავლი სახელოვანი ლირიკოს-პოეტი ბესიკი, იქიდანვე იყვნენ გამოსულნი თ-დნი ე. თურქისტანიშვილი, გიორგი ავალიშვილი, ივანე ორბელიანი, რომელნიც ერეკლე მეფის ბრძანებით რუსეთს გაგზავნილ იქმნენ უმაღლესი სწავლის მისაღებად და რომელთაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაარსეს ქართული თეატრი, სთარგმნეს სუმაროკოვის პიესები წარმოსადგენად და 1791 წ. ითამაშეს პირველი ქართული ორიგინალი დრამა **თეიმურაზ მეფე**, რასაც დაესწრო თვით ერეკლე მეფე. მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწყებული ქართველთ აღორძინების საქმე იმდენად განვითარდა, ისეთი ნაყოფი გამოიღო ერეკლე მეფის დროს, რომ ქართველთ ცხოვრების საუკეთესო დროები მოაგონა მაშინდელ საზოგადოებას. შესაძლებელი შეიქმნა, სიამენი სოფლისა, თუმცა ცოტა ნაღველ ნარევნი, ყოფილიყვნენ საგანი პოეზიისა. ბესიკმა თითქოს უკანასკნელად ჩამოჰკრა თავის უებრო ჩანგურსა. ბედი ქართლისა რომელიც პატარა კახმა 1783 წ. გადასწყვიტა, საშინელ ბრაზებსა ჰგვრიდა სპარსეთის ყეინს აღა მაჰმად ხანს, რომელმაც კიდეც დასაჯა ერეკლე მეფე 1795 წელს, როგორც სპარსეთის ორგული ქალაქის აოხრებით, აკლებითა.

რუსული სკოლა შემოვიდა საქართველოში 1801 წ. რუსთა ხელმწიფობის დამყარებისათანავე. როგორ შეიძლებოდა საუკუნეებით ნაღვაწი ქართული სწავლა-განათლების საქმე, რომელიც სხვა მრავალ საერო დაწესებულებასთან ერთად მოიხელა გამძვინვარებულის ყეინის ცეცხლმა და მახვილმა, ექვსი წლის განმავლობაში კვლავ ფეხიქსებრ განახლებულიყო.

ბ. სპილიოტეებს, ას თორმეტი წლის განმავლობაში, სასწაული ვერ მოუხდენიათ და ქართველი პედაგოგები ეძებს წელიწადში როგორ დაუბრუნებდნენ ახალ ქართულ სკოლას იმ ბედს, რომელიც არგუნა ვახტანგ მეექვსის და ერეკლე მეორის მოღვაწეობამ ქართველთ ერის გასანათლებლად. ვისღა ეცალა მაშინ სკოლისთვის, როცა ტფილისში ქვა ქვაზედ აღარ იყო სპარსთა მიერ აოხრების გამო, როცა ქირისუფალთ ტყვეებისა და გოდების ხმა დახოცილ და წამებულ ქართველთათვის ჯერ კიდევ გაისმოდა.

ანტონ II კათალიკოზის მოწმობით, სოფლად, ეპარქიებში კიდევ შესძლებიათ, საეკლესიო საჭიროებისთვის ყრმათათვის ესწავლებინათ წერა-კითხვა და გალობა!

ეგებ ის პირველ დასაწყისი სწავლა ისევე არ ვარგებულიყო, როგორც ქართული გალობა, რომელსაც გარუსებული ქართველი პავლე ციციანოვი თხის კიკინს უწოდებდა მაგრამ კაცია და გუნება.

პეტრე მირიანაშვილი.

ნეთის მოკავშირეთა შორის. რუსეთი თანაბრად დაინტერესებულია როგორც ძლიერი ბულგარეთისა ისე ძლიერი სერბიის შექმნით. რუსეთის დიპლომატიის თვალსაზრისით, სასურველია ქ. მონასტირი, ველესი და პრილეპი სერბიას მიეცეს.

სხვა და სხვა ამბავი

ევროპის დედოფალთა ნიჭი.

პარიზის ერთ-ერთი გაზეთი დაინტერესებულა შემდეგი გარემოებით: რას იზამდ ევროპის დედოფლების უმეტესობა იმ შემთხვევაში, რომ უეცრად ატეხილ რევოლიუციას ევროპის ტახტები გაეუქმებინა?

ბელგიის დედოფალი ელისაბედი, ქალიშვილია თვალის გამოჩენილ ექიმის, ბავარიის ჰერცოგისა და თვითონაც ლეიპციგის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი გაუთავებია მედიცინის დოქტორის ხარისხით. იგი ბრიუსელში გახსნიდა საკუთარ ამბულატორიას და საექიმო კურსებს; კარგად სცოდნია აგრეთვე მუსიკა და ავტომობილების ხელობა.

რუმინიის დედოფალი კარმენ სილვას ფსევდონიმით ცნობილია როგორც მწერალი. მას შეუძლიან თავის რჩენა მწერლობითა და უცხო ენების სწავლებით.

ინგლისის დედოფალი მერი ცნობილი ყოფილა როგორც ნიჭიერი აკვარელისტი, მკერვალი და მეოჯახე. კარგად სცოდნია აგრეთვე ცურაობა და ნიშანში სროლა, რაც ადვილად გამოსაყენებელია თურმე ინგლისში.

გერმანიის დედოფალი დიდებული ფოტოგრაფი ყოფილა.

ნიდერლანდიის დედოფალი მწერალი ყოფილა—მისი მინატურები მართლაც რომ ხელოვნური ნაწარმოებია თურმე.

ნორვეგიის დედოფალიც მწერალი ყოფილა. მის დრამები, გრეჰამ ირვინგის ფსევდონიმით, რამდენჯერმე დადგმულა ქრისტიანიის სცენაზე. აგრეთვე კარგად ეხერხება თურმე წიგნის აკინძვა, შლიაპების კეთება, ხატვა და სხვ.

სად რამდენი წიგნი იბეჭდება.

მადრიდის გაზ. „ჰერალდო“-ს გამოუანგარიშნია, თუ სად რამდენი წიგნი დაიბეჭდა 1911 წლ. განმავლობაში.

გერმანიაში	33.000	სახელის.
რუსეთში	29.000	„
იაპონიაში. . . .	24.000	„
შეერთ. შტატებში.	11.223	„
ინგლისში	11.000	„
იტალიაში	10.929	„
საფრანგეთში . . .	10.400	„
შვეიცარიაში . . .	10.000	„
ავსტრიაში. . . .	7 000	„
დანიასა, ნორვეგიასა და შვეციაში. .	6.475	„
ბალკანეთის სახელმწიფოებში . . .	4.000	„
ჰოლანდიაში. . .	3.700	„
ისპანიასა და პორტუგალიაში . . .	2.665	„

ერთ მილიონ მცხოვრებზე მოდის:

შვეიცარიაში	2.702	წიგნი.
დანიასა, ნორვეგიასა და შვეციაში	619	„
ჰოლანდიაში.	116	„
იაპონიაში	533	„
გერმანიაში	507	„
იტალიაში	312	„
საფრანგეთში	260	„
ინგლისში	240	„
რუსეთში.	181	„
ბალკანეთში	180	„
ავსტრიაში	137	„
ისპანიასა და პორტუგ.	133	„
ამერიკის შეერთ. შტატებში	122	„

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

9 აპრილი.

საზღვარ-გარედ

ვენა. (საჩქარო). **ცეტინიედან ოფიციალურად იტყობინებიან: ჩერნოგორიის გამარჯვებული ჯარი სკუტარში შევიდაო.**

სტამბოლი. იზეთ-ფაშა გალიპოლიდან დაბრუნდა, საცა სიტყვიერი შეთანხმება მოხდა საომარ მოქმედების შეჩერების შესახებ, სერბიის და საბერძნეთის დელეგატებთან.

ბელგრადი. სკუპშჩინა შეუდგა 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის 1913 წლისთვის შენახვის საკითხის განხილვას. ნაციონალისტმა პანკოვიჩმა განაცხადა: კანონ-პროექტს მხარს ვერ დაუჭერ მთავრობის პოლიტიკის გამოურკვევლობის გამო; ბულგარეთთან ომი უფრო მოსალოდნელია, ვიდრე მტკიცე კავშირიო. პაშიჩმა უპასუხა: მთავრობის პოლიტიკა განსაზღვრულია: იგი დაიცავს ქვეყანას თავდასხმისაგან, საიდანაც არ უნდა იყოს იგიო. კანონ-პროექტი, 74 ხმით წინააღმდეგ 60-სა, სკუპშინამ მიიღო.

გარეშე საქმეთა სამინისტროში ცნობა მივიდა, სერბიის ჯარის წამოსვლისას არნაუტებში მოძრაობამ იჩინა თავიო.

ბელგრადი. რადგანაც ოპოზიციასა და მთავრობის შორის განხეთქილება აღმოჩნდა ხარჯთ-აღრიცხვის საკითხში, თავმჯდომარის ორივე ამხანაგი და პრეზიდიუმის წევრი, რომელნიც ოპოზიციას ეკუთვნოდნენ, თავის თანამდებობაზე გადადგნენ.

ტრიესტი. გაზეთ „პიკოლო“-ს ცეტინიედან ატყობინებენ: ესად-ფაშამ რწმუნებული გაგზავნა ჩერნოგორიის ჯარის უფროსთან, შეიტყოს სკუტარის დათმობის პირობები. ნიკოლოოზ მეფემ სამხედრო საბჭო შეჰკრიბა, რის შემდეგაც ჩერნოგორიის რწმუნებულნი, ვუკოტიჩი და პლამენაცი სკუტარში წავიდნენ.

სტამბოლი. პორტაში ირწმუნებიან, ხვალ ლონდონში შეიკვრება წინასწარი სამშვიდობო ხელშეკრულებაო.

ბელგრადი. „პოლიტიკა“ სწერს: სერბია-ბულგარეთის ხელშეკრულების შედგენის დროს ორივე მხარემ თავის ჯარის რაოდენობა აცნობა. ამისდა მიხედვით განზრახული იყო მათ შორის უანაწილება ძველი სერბიის და მაკედონიისა; შედგენილი იყო აგრედვე სამოქმედო გეგმა. სარწმუნო წყაროთი ცნობილია, ამბობს გაზეთი, რომ ბულგარელებმა ნაკლები ჯარი გამოიყვანეს, ვიდრე ხელშეკრულებით იყო განზრახული. ბულგარები მოვალენი იყვნენ 100.000 ჯარისკაცით ეშველნათ სერბიელებისთვის, მაგრამ არც ეს იყო შესრულებული. მათ მოითხოვეს ფრაკიისათვის სერბიის ორი დივიზია და არტილერია ზარბაზნებით და სურსათით. ბულგარები ცალმხრივად განმარტავენ ხელშეკრულებას და სერბიელებს ველურობას ჰსწამებენ. გაზეთს ჰსურს ხელშეკრულება გამოაქვეყნოს, რათა ხელი შეუშალოს არა ლოიალურ მოკავშირის მიერ ცილისწამების გავრცელებას.

ომი და სახელმწიფონი.

სოფია. მოკავშირეთა საპასუხო ნოტა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადასცეს.

ლონდონი. რეიტერის ცნობით ელჩთა თათბირი ორ საათს გაგრძელდა. შემდეგი სხდომა ხუთშაბათს მოხდება.

სალამომდის მოკავშირეთა პასუხი არ მოსულა. გამორკვეული არ არის, იღებდა თუ არა ჩერნოგორია მონაწილეობას პასუხში.

ბელგრადი. 8 აპრილს პაშიჩმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადასცა საპასუხო ნოტა: მოკავშირენი მადლობას უხდიან დიდ სახელმწიფოებს, შუამავლობის პირობათა ცნობისათვის, თუმცა და აღნიშნავენ, რომ პირობები რამდენადმე განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომელიც მოკავშირეებმა 23 მარტს საპასუხო ნოტაში მოიხსენიეს. მოკავშირეთ ჰსურთ ხელი შეუწყონ სახელმწიფოთა შუამავლობას და ხელახლად სთხოვენ, პრინციპად აღიარონ კონტრიბუციის საკითხი. მოლაპარაკების დროს მოკავშირენი ანიჭებენ თავიანთ თავს უფლებას, აღძრან ეგეის კუნძულთა საკითხი და გადასწყვიტონ იგი დიდ სახელმწიფოთა მონაწილეობით.

ლონდონი. გაზეთ „ტაიმსი“-ს ცეტინიედან დეპეშით ატყობინებენ: ჩერნოგორიის მთავრობის განკარგულებით შეწყვეტილია ყოველივე ურთიერთობა ევროპასთან. ფოსტა არ დადის, ტელეგრაფი შეჩერებულია; მგზავრებს ჩერნოგორიის გარეშე არ უშვებენ.

ქაირო. როგორც ხმა დადის, პრინცს უარი განუცხადებია ალბანეთის ტახტის კანდიდატურაზე.

ბერლინი. „პოსტ“—მა დაჰბეჭდა წერილი, რომლითაც ძლიერ ცუდად იხსენიებს ფრანგის ერს. ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა „ნორდლეიტშე-ალგემონე-ცეიტუნგ“-მა.

ლონდონი. ჩერნოგორიის დელეგატმა პოპოვიჩმა რეიტერს აცნობა: დიდ სახელმწიფოთა წინადადება, მოახერხონ ჩერნოგორიისთვის სესხი, უკანასკნელში აღშფოთებას იწვევსო: სანამ ჩერნოგორიის საზღვრები გამიჯნული არ იქნება სკუტარის ტბის ჩარიცხვით, ჩერნოგორიის პოზიცია არ შეიცვლებაო.

ლონდონი. მოკავშირეთა პასუხმა დიპლომატთა წრეზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლო მომავალში ელჩთა თათბირი განიხილავს პასუხს. სამშვიდობო კონფერენციისთვის ადგილი ჯერ არ არის დანიშნული.

პარლამენტი და საყოველთაო გაფიცვა

ბრიუსელი. დეპუტატთა პალატამ ხმის უმრავლესობით, გარდა სოციალისტებისა, დაჰგმო საყოველთაო გაფიცვა.

ჩუგუჩაკი. კობდინის რაზმი, რომელიც მონღოლების წინააღმდეგ ჰმოქმედებდა, უსურსათობის გამო ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი. ალტაის გუბერნატორმა საჩქაროდ გაგზავნა მოხელე სურსათის სასყიდლად. მთავრობამ განკარგულება გასცა დაუყონებლივ გაიგზავნოს ალთაის ოლქში 15.000 ფუთი ხორბალი.

ბერლინი. ლანდტაგმა მიიღო მეორედ კითხვის დროს აღმოსავლეთ პრუსიასა და პოზნანში გერმანელობის ელემენტთა გაძლიერების კანონ-პროექტი; ამ მიზნისთვის ითხოვენ 230.000.000 მარკის გაღებას. ფრიად დამახასიათებელი სიტყვა წარმოსთქვა დამოუკიდებელმა კონსერვატორმა, კარდორფმა მოლაპარაკემ აღნიშნა ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა პოლონეთის პროვინციები, პრუსიის ხელში გადასვლის დროს. ასეთი შერყეული სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი წესრიგი. როგორსაც პოლონეთი წარმოადგენდა, არას დროს არა ყოფილა. პოლონელებს არასდროს რა შესწევდათ ძალი და ღონე პრუსიის მსგავს სახელმწიფოს შესაქმნელად. ეხლა პოლონელები წარმოადგენენ სამართლიან და თავისუფალ სახელმწიფოს მოქალაქებსო. ამ სიტყვებზე პოლონელებმა სიცილი ასტეხეს. ამის საპასუხოდ კარდორფმა წამოიძახა: „შეადარეთ თქვენი მდგომარეობა რუსეთსა და გალიციაში პოლონელთა მდგომარეობას, ამ ორში ისეთი გარჩევა არის, როგორც დღესა და ღამეში“.

ნიკოლაევი. საზღვაო მინისტრი პეტერბურგში წავიდა.

პეტერბურგი. ფინლანდიის სენატის სამეურნეო დეპარტამენტის თავმჯდომარის ამხანაგი გენერ.-ლეიტ. მარკოვი დაინიშნა ფინლანდიის მინისტრ სტატ—სეკრეტარად.

„რეჩ“-ს რედაქტორი სამართალშია მიცემული 1034 მუხლის ძალით. „ლუჩ“-ი 500 მანეთით დააჯარიმეს.

პეტერბურგი. სატუსაღოს სამართველოს განუზრახავს დაარსოს სხვა და სხვა რაიონში ჭლექიან ტუსაღებისთვის რამდენიმე ციხე.

პეტერბურგი. ხაზინის დეპარტამენტის მიერ მიღებულ ცნობებით 1912 წლის შემოსავალი უდრის—3.106.329,000 მანეთს. ხარჯი ამავე წლის განმავლობაში: ჩვეულებრივი—2.398.325,000 მან., საგანგებო—320.638,000 მან.

წერილ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.—

გაზეთ „თემი“-ს 118 ნომერში მოთავსებულია და თქვენის გაზეთის 867 №-ში გადაბეჭდილია **ბ.—აკაკის** „მცირე განცხადება“, რომლითაც იგი მოუწოდებს ჩვენს საზოგადოებას ფულის მოგროვებით ხელი შეუწყონ ჩემის ქმრის ივანე მაჩაბლის შექსპირის ტრაგედიათა თარგმანების გამოცემას.

დიდ მადლობას ვუძღვნი ბ-ნ აკაკის ასეთის თანაგრძნობისათვის ჩემის ქმრის ხსოვნის მიმართ. მხოლოდ საჭიროდ ვთვლი მოვახსენო მას და ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, რომ ხსენებულ თარგმნების გამოცემა მე უკვე განზრახული მაქვს წინასწარ ხელის მოწერის საშუალებით და, თუ აქამდის ამის შესახებ განცხადება არ მოვათავსე გაზეთებში, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ საბიოგრაფიო მასალების შეგროვება არ დამიმთავრები.

ვსთხოვ „თემი“-ს რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი.

კნეინა ანასტასია მაჩაბელისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსაღები ცნობა
გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)
15 ოქტომბრიდან,
შავ-ზღვაზე.
(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).
„ვაჭრობა-ნავოსნობის“
საზოგადოების გემები.
ბათომიდან გადის:
1) პირდაპირი, საფოსტო გ მიშაბ., და კვირ., ღამ. 12 ს. 58 წ.
ირგვლივ მოსიარულე:
№ 1. ოთხშ.—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. პარასკევს., შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. სა ., შაბათ., ნაშუადღ. 2 ს. 58წ.
№ 2. ორშაბ., ნაშ. 2 ს. 58 წ.
ბათომში მოდის:
ოდესიდან პირდაპირი, საფ., გარ. დილ. 6 ს. 58 წ.
ირგვლივ მოსიარულე:
№ 1. ორშ., საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. ოთხშ., საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. სამგზ., პარ. საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. კვირ., საღ. 6 ს. 40 წ.
კასპიის ზღვაზე.
„კავკაზი და მერკური“
საზოგადოების გემებისა.
ბაქოდან გადის:
კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, პარ., და სამშაბ., ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.
ირგვლივ მოსიარულე:
ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.
ბაქოში მოდის;
კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ. დილ. 6 ს. 50 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 6 ს. 44 წ.

განცხადებანი

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბიშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე ს-ღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ; კანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტიხიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ფეხსაცმელების დეპო ს. პაპიკიანცის და კომ.
1. მთავარი: გოლოვინის პროსპ. № 38. 2. განყოფილება: მუხრანის ქუჩა № 4.
შემთხვევით ისარგებლეთ!
ამით ვაცხადებთ პატივცემულ საზოგადოების საყოველთაო საყურადღებოდ, რომ მომავალ დღესასწაულებისთვის ჩვენ მიერ მიღებულია კაცებისა, ქალების და ბავშვთა უკანასკნელ და ახალ ფასონის იაურებელი ფეხსაცმელები, როგორც საზღვარ-გარეთისა, ისევე ს.-პეტერბურგის ფეხსაცმელთა სამექანიკო ნაწარმოებისა და რუსეთის სხვა და სხვა ფირმებისა.
ფასები კონკურენციის გარეშეა, რაშიაც ვთხოვთ პირადად დარწმუნდნენ.
1149 სრულის პატივისცემით მ. ო. პაპიკიანცი და კომპ.

სამუსიკო და ნოტების სავაჭრო
კარლ შუმანისა
ტფილისში, გოლოვინის პროს., № 10. ტელ. № 939.
წარმომ. პატეფონებისა სააქციონერო საზოგ. ძმ. პატესი, პარიზი.
მოიჯარადრე კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებისა.
მიღებულია დიდი არჩევანით:
პატეფონები დედამიწის ზურგზე საუკეთესო მოლაპარაკე მანქანები, რომელნიც უნემსოდ უკრავენ. აგრეთვე ახალი ფირფიტები. ფასი 1 მან. 30 კ., 1 მ. 75 კ. და 2 მან. 50 კაპ.
ორკესტრიონი თვითმოძრავი სამუსიკო შკაფი, განსაკუთრებით რესტორანებისთვის. ფასი 350 მანეთიდან.
პიანინო ელექტრონისა და ჩვეულებრივი, პირველ ხარისხიან ფაბრიკებისა: რენიშისა, შრედერის, რატკესი და სხვათა. ფასი 450 მანეთიდან 1800 მანეთამდე.
ფულის შეღავათიანი გადახდით.
222.

სადღესასწაულო საჩუქრები
დაკლებულ ფასებში და მშვენიერ ყდებში დაკაზმული:

	მან.	კ
ა. ყაზბეგის სრული თხზულება, ბიოგრაფ., კრიტიკ. და სურათ.,	3	50
ე. ნინოშვილი. თხზულება ბიოგრ., კრიტ. და სურათით,	2	—
ან. ფურცელაძე. ბრძოლა, ანუ გ. სააკაძე,	1	—
ავგ. ბებელი. დედაკაცი და სოციალიზმი,	1	60
სამეურნეო, საოჯახო და საჰიგიენო ნარკვევები	1	—
კარლ კაუტსკი. ანტიური ქვეყანა,	1	20
ალბომი ქართველთა ტომის, სურათებით და რუსულ-ქართ. წარწერით,	2	50
ისტორიული. ძველი საქართველო III, დიდი წიგნი,	2	50
ვახ. ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია ქარტითა და სურათ.,	[illegible]	50
მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია მრავალ ქარტებით,	[illegible]	20
საბერძნეთის ისტორია ნახატებით	[illegible]	40
რომაელების ისტორია	[illegible]	40
ბოგდანოვი. მოკლე კურსი პოლიტ. ეკონომიისა	1	20
ლ. ტოლსტოი. აღდგომა, მრავალ ნახატებებით და ავტორის სურათ.,	[illegible]	20

ბიკოვი. ამბები ინგლისის ისტორიიდან, თარგმანი კარლო ჩხეიძისა	1	—
ბელამი. ასის წლის შემდეგ, რომანი	1	--
ფონ პოლენცკი. გლეხი-კაცი, რომანი გერმანულიდან ტოლსტოის წინასიტყვაობით,	1	40
ერკმან შატრიანი. გლეხი-კაცის ისტორია,	2	50
ს. ყიფიანი. წვრილი მოთხრობები		50
სპარტაკი, რომანი,	1	—
შავი სპარტაკი, მოთხრობა,		60
ტირონდიე. მეცნიერებისთვის წამებულნი სურათებით,	1	—
ახალი ზელანდია, ქვეყნიერობის მოწინავე დემოკრატია,		80
ქართლის ცხოვრება, სამივე ტომი,	2	—
აკაკის ახალი გამოცემა I წიგნი,	1	--
მისივე ძველი გამოცემები ცალკცალკე I და II ტომი,	1	—
ი. ევდოშვილი. სრული თხზულება,	1	—
სააღდგომო საჩუქარი, კრებული საუკეთესო თხზულებებისა სურათებით,		80
ან. ფურცელაძე. მაცი-ხვიტია, რომან.		8
ლ. არდაზიანი. მეჯღანუაშვილი, რომანი		80
დ. ჭონქაძე. „სურამის ციხე“, მოთხრ.,		35

იყიდება აგრეთვე „კვალი“-ს და „ივერია“-ს და სხვა მთელი წლის №№-ები დაკაზმული.
მისამართი: Тифлисъ, Театральный переулокъ № 7, К. Таварткиладзе.
უცნობებმა ერთი მეხუთედი ღირებისა წინდაწინ უნდა გამოგზავნონ. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. 1147

7 აპრილდან, გაიხსნა
საათფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზია, ფირმით
„სოლოტატი“
ხოლოლაკის ქუჩაზე, ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ახალ სახლში.
ჩემი 25 წლის პრაქტიკა კავკასიის საათფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიის გამგეს თანამდებობაში, საქმის ცოდნა და აგრედვე ახალ-ახალი საქონელი, რომელიც მაღაზიაში აწყვია ცნობილ ფირმების უმაღლესი ხარისხისა, ნებას მაძლევს იმედი ვიქონიო ტფილისის საზოგადოების ყურადღებისა, რომელიც სავსებით დარწმუნდება საქონლის კეთილსინიდისიერ გაყიდვაში.
1143 არტემ ბაგდანოვიჩ ოვჩიევი.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ცნობილი
პასხალიდის
აბრეშუმის თესლი
ჩვეულებისამებრ იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში,
ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.
სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილება: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს.
პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსასვლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.
ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა მ. გ. რუსიძე. 1079

თევზეულობის მაღაზია
ს. ლ. ხუროშვილისა
პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.
ვყიდით:
საუკეთესო მარცვლიან ხიზილალას, ცოცხალ თევზს „ქიტკა“-ს ორაგულს, თართს, ტარაღანას, ლოქოს, მოხარშულ დოშს, ზურგიელს და სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს.
ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში. 1127.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი

ტფილისი, მუხრანის ქუჩა სტამბა „შრომა“.